

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების
ხელშეკრულების "შირთიადი წესები და პირობები"
(შემდგომში "ხელშეკრულება")

ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 03.01.2012 წელი.
ხელშეკრულება ძალაშია 31.12.2012-მდე.

1. დეფინიციები

თუ "ხელშეკრულებით" სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, "ხელშეკრულებაში" შემდეგ ტერმინებსა და გამოთქმებს ეყრდნობა შემდეგი მნიშვნელობები:

1.1. "მომსახურება" - "ხელშეკრულებით" ან/და მისი "დანართ(ებ)ით" განსაზღვრული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება.

1.2. "მომსახურების სატარიფო გეგმა" ან/და "სატარიფო გეგმა" - "აბონენტის" მიერ არჩეული კონკრეტული "მომსახურების" პაკეტი/გეგმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს "მომსახურებ(ებ)ის" ღირებულებას, პირობებს და "მომსახურებაში" შემაჯავ სერვისებს). "სატარიფო გეგმის" დეტალური ჩამონათვალი/აღწერილობა მოცემულია სატარიფო ზადეში, რომელიც წარმოადგენს ამ "ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

1.3. "მომსახურების ღირებულება" - სატარიფო ზადით განსაზღვრული "მომსახურების ღირებულება", რომელიც ასევე მოიცავს შერე პუნქტით განსაზღვრულ გადასაცემადგემულ ტექნიკური საშუალებების სარგებლობის ღირებულებას.

1.4. "საბონენტო გადასახადი" - "კომპანიის" მიერ "მომსახურების" მიღების უფლებისათვის და/ან "მომსახურებისთვის" დაწესებული შესამაბისი ყოველთვიური გადასახადი.

1.5. "პირგასამტებლო" (გარიბა) - შესამაბისი "შარის" მიერ "ხელშეკრულებით" ან/და მისი "დანართებით" (არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ფინანსური ან/და სხვა ვალდებულებების შესრულებლობისათვის ან არაეკონომიკურად შესრულებისათვის ერთეურობად გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება "ხელშეკრულებით" (მისი "დანართებით").

1.6. "სადემარკაციო წერტილი" - წერტილი სადაც ხდება "მომსახურების" მიწოდებისა ("კომპანიის") და მომხმარებლის ("აბონენტის") პასუხისმგებლობის გამოცემა.

1.7. "პირადი ნომერი" ან "პირადი ანგარიში" - "კომპანიის" მიერ "აბონენტისათვის" მინიჭებული პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც გაერთიანებულია ერთი ან/და რამოდენიმე "მომსახურება" და რომელზეც ხორციელდება "მომსახურების ღირებულების" დარიცხვა ან/და გადახდა ან/და რომელზეც ხორციელდება "მომსახურების ღირებულების" წინასწარ გადახდა.

1.8. "ფრაიდი" - "მომსახურებისთვის" დაწესებული "მომსახურების ღირებულების" გადახდისაგან თავის არიდების გზით "მომსახურების" უსასყიდლოდ ან/და შემცირებულ ფასად ან/და "ხელშეკრულების" (მისი დანართების) პირობების დარღვევით მიღება.

1.9. "ტრადიტი" - საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით, დროის მოცემულ მონაკვეთში გადადებული მომსახურების (სიგნალების, გზავნილების, პაკეტების და ა.შ.) ერთობლიობა.

1.10. "მიღება-ჩაბარების აქტი" - "შარითა" შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც დასტურდება "აბონენტისათვის" "ტექნიკური საშუალებების" გადაცემის ან/და "აბონენტის"

მიერ "კომპანიისათვის" უკან დაბრუნების (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ფაქტი.

1.11. "დანართი"/"დანართები" - თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული "ხელშეკრულებით", წინამდებარე "ხელშეკრულების" დანართ(ებ)ი (მათ შორის "მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი", ამგვარის არსებობის შემთხვევაში), რომელიც/რომლებიც წარმოადგენს "ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

1.12. "კანონმდებლობა" - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

1.13. "აბონენტი" - ფიზიკური პირ(ები), იურიდიული პირ(ები) ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები (რომლებიც წარმოადგენენ ბოლო მომხმარებელს და რომლებსაც ეკრძალებათ "მომსახურების" შემდგომი გადაყიდვა ან/და სხვაგვარად "შესაბე პირებისათვის" მიწოდება), რომლის/რომელთა სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია "ხელშეკრულებაში".

1.14. "შესაბე პირი" - ნებისმიერი პირი გარდა "აბონენტისა" ან/და "კომპანიისა".

1.15. "მარეზარეები" - "აბონენტი" ან/და "კომპანია", კონტექსტის შესამაბისად.

1.16. "პირი" - ფიზიკური პირ(ები), იურიდიული პირ(ები) ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის "კანონმდებლობით" გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები.

1.17. "სამუშაო დღე" - დღე, შაბათის, კვირის ან "კანონმდებლობით" განსაზღვრული ოფიციალური უქმე დღეების გარდა.

1.18. "ტექნიკური საშუალებები" - "კომპანიის" მიერ "აბონენტისათვის" "მომსახურების" მიწავლენად დროებით (თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული "ხელშეკრულებით" ან/და მისი დანართებით) სარგებლობაში გადაცემული/გადასაცემი ტექნიკური საშუალებები, რომლის მიღებისა და გამოყენების წესი მოცემულია "ხელშეკრულების" მე-6 მუხლში.

1.19. "კომისია" - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

1.20. "რეგლამენტი" - ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი.

1.21. "პრომო აქცია" - "კომპანიის" მიერ შესამაბისი "მომსახურების ღირებულების" ან/და "მომსახურების" მახასიათებლების დროებითი ცვლილება ამგვარი "პრომო აქცი(ებ)ის" ფარგლებში და ვადით.

1.22. "აბონენტის მისამართზე მცხოვრები პირი" აბონენტის მისამართზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები პირი, რომელიც უზრუნველყოფს ყოველგვარი შეფერხების გარეშე "კომპანიის" წარმომადგენლის (ინსტალატორის) დაშვებას მომსახურების მიწოდების/შესაძლო მიწოდების მისამართზე.

1.23. "საკონტაქტო ინფორმაცია" აბონენტის მიერ წინამდებარე "ხელშეკრულებაში" დაფიქსირებული ფიქსირებული/მოზილური კავშირის ნომერი.

1.24. "ერთიანი ანგარიში" "კომპანიის" მიერ აბონენტის სახელზე გახსნილი ვირტუალური ანგარიში სადაც იდენტიფიცირდება "კომპანიის" მიერ ერთი მისამართზე მიწოდებული მომსახურების ტიპები.

2. "ხელშეკრულების" საგანი

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე, მისი პირობების და ტარიფების გათვალისწინებით „კომპანია“ „აბონენტს“ უწევს გარკვეულ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას (შემდგომში „მომსახურება“), კონკრეტული „მომსახურების“ დეტალური აღწერა და „მომსახურების“ შესაბამისი ტარიფები მოცემულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართების სახით, რომელიც წარმოადგენს ამ „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

3. „მომსახურების“ ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1. „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ მიწოდებული „მომსახურების“ ღირებულება განისაზღვრება წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართებით.

3.2. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული შესაბამისი „მომსახურების“ დანართით, ყოველთვიური „მომსახურების“ ღირებულების გადახდა „აბონენტის“ მიერ უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, შესაბამისი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.

3.3. ანგარიშსწორება წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, „კომპანიის“ ქვებით მითითებულ ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

3.4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2800 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

4. „მომსახურების“ შეზღუდვა და შეწყვეტა

4.1. „აბონენტის“ მიერ „კომპანიისთვის“ გადასახდელი ნებისმიერი გადასახდელი თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის ან/და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში, „კომპანია“ უფლებამოსილია შეზღუდოს ან/და შეწყვიტოს „აბონენტს“ ერთიანი ანგარიშის ფარგლებში მიწოდებული ყველა ან/და ნებისმიერი „მომსახურება“ ამ „ხელშეკრულების“ პირობებისა ან/და „რეგლამენტის“ შესაბამისად.

4.2. „კომპანია“ უფლებამოსილია სხვა ოპერატორთან და/ან სხვა იურიდიულ პირთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, სხვა ოპერატორისგან და/ან იურიდიული პირისგან „აბონენტს“ მიერ მიღებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების და/ან სხვა მომსახურების საფასურის გადახდა მოთხოვოს „აბონენტს“ და გადაუხდელობის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ ან/და „რეგლამენტის“ შესაბამისად განახორციელოს „მომსახურების“ შეზღუდვა ან/და შეწყვეტა.

4.3. „კომპანია“ უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეზღუდოს „აბონენტს“ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული ყველა ან/და ნებისმიერი სახის „მომსახურება“ თუკი „კომპანიის“ გააჩნია საფუძველიანი ეჭვი, რომ „აბონენტისათვის“ მიწოდებული „მომსახურება“ გამოყენებულია „ფროდის“ მიზნით ან დაკავშირებულია „ფროდით“.

5. დაზიანების აღმოფხვრა და ვადები.

5.1. დაზიანების აღმოფხვრა „კომპანიის“ მხრიდან ხორციელდება რეგლამენტში დაცული წესების შესაბამისად.

5.2. „შზარევი“ თანხმდებინა, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დროებით შეაჩეროს ან/და შეზღუდოს „მომსახურება“ პროფილაქტიკური საშუალებების ჩასატარებლად „რეგლამენტით“ დადგენილი წესის შესაბამისად.

6. მომსახურების აუცილებელი საინსტალაციო საშუალები და მისი ღირებულება.

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „აბონენტი“ აცხადებს თანხმობას „კომპანიის“ მიერ ჩასატარებულ ნებისმიერ საინსტალაციო საშუალებაზე, რომლებიც აუცილებელია მომსახურების მისაწოდებლად და

იღებს უპირობო ვალდებულებას ნებისმიერი სახის მოთხოვნაზე, სარჩელზე ან/და სხვა სახის პრეტენზიაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ პირობების მოთხოვნებს ან/და პრეტენზიებს, რომელთა საკეთილშეგებ განხორციელებაც აშკარად საინსტალაციო საშუალები, რომელიც წამოყენებულ შეიძლება იქნას „კომპანიის“ მიმართ საინსტალაციო საშუალების მიმდინარეობისას ან/და მის შემდეგ პერიოდში. ამასთანავე, „შზარევი“ თანხმდებინა, რომ თუკი საინსტალაციო საშუალების შეფერხება/შეუქმელებლობა გამოწვეულია „კომპანიისათვის“ აშკარად მოთხოვნების წყევნებით, რაც იწვევს „კომპანიის“ ვალდებულებების შეუსრულებლობას/შეფერხებას, „კომპანია“ სრულად თავისუფლდება აშკარად შეუსრულებლობით/შეფერხებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. „შზარევი“ დამატებით თანხმდებინა, რომ თუკი „აბონენტის“ მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა გამოიწვევს ან/და საფრთხეს შეექმნის სხვა შესაძლებელი პირობების (მათ შორის 7.14 პუნქტით განსაზღვრული „კომპანიის“ სხვა აბონენტებისათვის) „კომპანიის“ მომსახურებების მიწოდებას, „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიის“ სრულად აუქნაზღვროს აშკარად მომსახურების მიუწოდებლობით „კომპანიისათვის“ მიყენებული ზიანი ან/და ზარალი.

6.2. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ან/და შესაბამისი „დანართებით“ (დანართის არსებობის შემთხვევაში), „შზარევი“ თანხმდებინა, რომ „ანაზღაურება“ ასევე მოიცავს „მომსახურების“ გააქტიურების ან/და „ტექნიკური საშუალებების“ (აშკარად არსებობის შემთხვევაში) დროებით საარგებლობაში გადაცემის ღირებულებას.

7. „აბონენტის“ და „კომპანიის“ ძირითადი ვალდებულებები, „მომსახურების“ მიღების/ცვლილების ძირითადი პირობები

7.1. „აბონენტი“ ვალდებულია/აცხადებს თანხმობას:

7.1.1. სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „ხელშეკრულებით“ და მისი „დანართებით“ (არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული „მომსახურების“ ღირებულება;

7.1.2. არ დაუშვას მიწოდებული „მომსახურების“ ჩართვა საერთაშორისო ან სხვა ფსიანი ტრავიკის გატარების ან ტერმინაციის სქემაში ან/და „ფროდის“ მიზნით განხორციელებულ მოქმედებებსა და სქემებში.

7.1.3. დაიცვას „კომპანიის“ ქსელთან მიერთებული ნებისმიერი საკუთარი მოწყობილობა ან/და „ტექნიკური საშუალება“ ნებისმიერი უნებართვო შეწყვეტისა და გამოყენებისაგან. „აბონენტი“ უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად „კომპანიის“ მიმართ წარმოქმნილ ნებისმიერი სახის დავალიანებას.

7.1.4. „აბონენტი“ უპირობოდ ეთანხმება „კომპანიის“ მიერ აბონენტისათვის მიწოდებულ მომსახურებაზე „აბონენტის“ მისამართზე მცხოვრები პირის“ მიერ სხვა ტიპის მომსახურების დარეგისტრირებას/მიწოდებას/გააქტიურებას;

7.1.5. „აბონენტები“ შემოსული/გასული/ტრავიკის და სხვა ტიპის ზარების შესახებ დავის განხილვისას, ვალდებულია აღიაროს და უპირობოდ დაეთანხმოს მხოლოდ „კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი ჩანაწერებს.

7.1.6. მხოლოდ საკუთარი მომხარებისათვის გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული „მომსახურება“ და არ დაუშვას „კომპანიისგან“ მიღებული „მომსახურების“ შემდეგში მიყიდვა/გადაცემა სხვა ნებისმიერ „შესაძლებელი პირზე“ „კომპანიის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, „კომპანია“ უფლებამოსილია დააკისროს



"აბონენტს" ჯარიმის სახით 20,000 ლარის გადახდა და "კომპანიისთვის" მიყენებული ზარალის ანაზღაურება;

7.1.7. წერილობით განუცხადოს თანხმობა „კომპანიას“ სხვა ოპერატორის („მესამე პირის“) საერთაშორისო დამკვეთის კოდეტი შეზღუდვა/სარგებლობაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს „აბონენტის“ შესაძლებლობას სხვა ოპერატორის („მესამე პირის“) ნუმერაციის რესურსის გამოყენებით განახორციელოს საერთაშორისო ზარები).

7.1.8. დაეთანხმოს (შემდგომი დამატებითი აქტების ან/და თანხმობის გარეშე) „კომპანიის“ მიერ მისთვის („აბონენტისათვის“) გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის ცვლილებას, თუკი ამგვარი ცვლილება გამოწვეულია/განპირობებულია „კომპანიის“ ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი ნორმატიული აქტით.

7.1.9. „აბონენტის“ პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას „კომპანიის“ მიერ რეკლამის მისაწოდებლად და/ან სხვა კომარტული მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა თუ „აბონენტი“ წინასწარ წერილობით განუცხადებს უარს „კომპანიას“.

7.1.10. აგრეთვე და კეთილხინდისიერად შესრულოს „ხელშეკრულებით“ ან/და „დანართ(ებ)ით“ (არსებობის შემთხვევაში) ნაკისრი ვალდებულებები.

7.1.11. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მიღება-ჩაბარების აქტით დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური-მოწყობილობა/ები 20 დღის ვადაში.

7.1.12 7.1.11 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში მიღება-ჩაბარების აქტით დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური-მოწყობილობა/ები დაუბრუნებლობა/გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება ტექნიკური მოწყობილობა/ების აბონენტის მიერ შესაქვდად, რისთვისაც მას გადასახდელი ექნება შესაბამის დანართებში განსაზღვრული ტექნიკური-მოწყობილობა/ების ღირებულება 7 (შვილი) საუბრით დღის განმავლობაში.

7.2. „აბონენტი“ უფლებამოსილია:

7.2.1. აირჩიოს მისთვის სასურველი „მომსახურების სატარიფო გეგმა“ (პაკეტი) „ხელშეკრულების“ ან/და „დანართის“ (დანართის არსებობის შემთხვევაში) პირობების შესაბამისად.

7.2.2. შეატყობინოს „კომპანიას“ დაზიანების შესახებ.

7.3. კომპანია ვალდებულია:

7.3.1. „აბონენტს“ მიაწოდოს „მომსახურება“ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ და „რეგლამენტით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.3.2. ამ „ხელშეკრულებით“ და „რეგლამენტით“ განსაზღვრულ ვადებში აღმოფხვრას „მომსახურებასთან“ დაკავშირებული დაზიანება.

7.3.3. კეთილხინდისიერად და აგრეთვე შესრულოს ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

8. ფორს-მაჟორი

8.1. „შარები“ თავისუფლდებათ პასუხისმგებლობისგან ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არააგროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არააგროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას „შარე“, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესრულებინა/აგროვინად შესრულებინა ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები, აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება) ყველა სახის სტიქიური უზედურება

მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ქარბუქი და სხვა, ეპიდემია, პანდემია, სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, გაფიცვა, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საპარო საენის ზემოქმედება, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები. „კომპანიის“ ავარიული სიტუაცია, თუ ეს ავარიული სიტუაცია შეიქმნა „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო და სხვა (შესაძებ პირის მრალული ქმედები და სხვა) (ფორს-მაჟორული გარემოებები).

9. განცხადებები და გარანტიები.

9.1. წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ ადასტურებს, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება მის სახელზე დატვირთვას/გაფორმდეს ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ყველა „მომსახურება“. ასევე „აბონენტი“ აღიარებს და ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველ საჭირო თანხობა თუ ნებართვა, რომელიც აუცილებელია ამგვარი „მომსახურებების“ მის („აბონენტის“) სახელზე დასარეგისტრირებლად/გასაფორმებლად.

10. კომუნიკაცია მხარებს შორის

10.1. „კომპანიის“ მხრიდან „აბონენტთან“ კომუნიკაცია ხორციელდება:

- ა) „კომპანიის“ ვებ-გვერდზე **WWW.SILKNET.COM** და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნების გზით, ან/და;
- ბ) მხარეთა მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
- გ) ავტომატური სატელეფონო შეტყობინებით;
- დ) აბონენტის მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებულ, როგორც ფიქსირებულ ასევე მობილური კავშირის ნომერზე;
- ე) ტექსტური/აუდიო შეტყობინების მიწოდებით Silk tv-s მეშვეობით;
- ვ) ტექსტური შეტყობინების გაგზავნით აბონენტის მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებულ ნომერზე
- ზ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესებით.
- თ) სერვის ცენტრებში ან/და სხვა მომსახურების წერტილებში შესაბამისი განცხადების განთავსებით.

10.2. „კომპანიის“ მხრიდან 10.1 პუნქტის ერთ-ერთი ქვეპუნქტის გამოყენებით „აბონენტთან“ გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება აბონენტის წერილობით ინდივიდუალურ შეტყობინებად.

10.3. „აბონენტის“ მხრიდან „კომპანიასთან“ კომუნიკაცია ხორციელდება ან:

- ა) 2 100 100 სატელეფონო საუბრის განხორციელებით;
- ბ) კომპანიის სერვის-ცენტრში წერილობით განცხადების დაფიქსირებით;

11. დისტანციური მომსახურება

11.1. „კომპანია“ უფლებამოსილია „აბონენტს“ შესთავაზოს ფსიაში ან უფასო (შერტული მომსახურების მიხედვით (დანართ(ებ)ით) განსაზღვრული) დისტანციური მომსახურება, რაც გულისხმობს „კომპანიის“ ოპერატორთან სატელეფონო საუბრის საფუძველზე მოახდინოს მომსახურების მიწოდებასთან ან/და მის ცვლილებასთან, დამატებასთან ან შეზღუდვასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელება „კომპანიის“ სერვის ცენტრში მოუხელედად.

12. კონფიდენციალურობა

12.1. „შარები“ ვალდებული არიან „ხელშეკრულების“ და „მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის“ მოქმედების პერიოდში დაიცვან მუორე „მხარისგან“ მიღებული წებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა (ქვეპუნქტ 7.1.9.4. გათვალისწინებით).



12.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას:

12.2.1. რომელიც „კანონმდებლობის“ დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები „მხარისათვის“ მეორე „მხარის“ მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

12.2.2. რომლის გამჟღავნებაც მოხდება „მხარეთა“ მიერ „კანონმდებლობის“ მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიც მხარის მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

12.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;

12.2.4. რომელიც არის, ან გახდება „ქსეამე პირებისათვის“ ხელმისაწვდომი „მხარეთა“ წერილობითი შეთანხმებით, ან მათგან დამოუკიდებლად.

12.3. მიუხედავად „ხელშეკრულების“ მე-12 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვისა, „აბონენტი“ კომპანიას ანიჭებს უპირობო უფლებას, „აბონენტის“ დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აკცეპტის გარეშე

12.3.1. „აბონენტის“ შესახებ ინფორმაცია გადასცეს მის „შეიღობილ კომპანიებს“ ან სხვა აფილირებულ „პირებს“ „აბონენტისათვის“ სხვადასხვა ტიპის მომსახურების შეთავაზების მიზნით, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ:

12.3.2. ამგვარი ინფორმაცია შეუიღარგლება მხოლოდ იმ ინფორმაციით, რაც აუცილებელია ამგვარი მომსახურების შესათავაზებლად ან/და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად;

12.3.3. ინფორმაციის მიმღები პირები დაიცვენ ზემოაღნიშნულ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით.

12.4. „აბონენტის“ შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს „ქსეამე პირებს“ „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების შესრულებლობით ან არააკროვანი შესრულების შედეგად „კომპანიას“ უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების შესრულებაზე მონიტორინგის.

13. პრეტენზიები და დავები.

13.1. „ხელშეკრულებიდან“ ან/და „მასთან“ დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე პრეტენზიები „მხარეებს“ შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად სატელეფონო კავშირის საშუალებით „აბონენტის“ მიერ წინასწარ შეტყობინებულ საკონტაქტო ნომერზე „რეგლამენტის“ შესაბამისად.

13.2. „ხელშეკრულების“ ან/და „მასთან“ დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის“ ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, „ხელშეკრულების“ ან/და „მასთან“ დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის“ არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, „მხარეები“ მიმართავენ სასამართლოს ან/და „კომისიას“.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა.

14.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

14.1.1. კომპანიის ინიციატივით:

(ა) აბონენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და დანართით/ებთი გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში;

(ბ) 30 დღით ადრე წინამდებარე „ხელშეკრულების“ 10.1 პუნქტის შესაბამისად შეტყობინების გაგზავნით;

14.1.2. აბონენტის ინიციატივით:

(ა) მიწოდებული მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხის დაფარვის და სხვა არსებული ვალდებულებების

სრულად/ ჯგეროვნად შესრულების შემდეგ კომპანიასთან წერილობითი შეთანხმების გაფორმებით.

15. ცვლილებები და დამატებები.

15.1. „ხელშეკრულებაში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ან/და „ხელშეკრულების“ მე-10 მუხლის შესაბამისად

15.2. „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ, „აბონენტის“ დამატებითი თანხმობისა თუ აკცეპტის გარეშე, ცალმხრივად ხელშეკრულების 10.1 პუნქტის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინებით:

15.2.1. შეცვალოს „მომსახურების ღირებულება“ (ტარიფები) ან/და „მომსახურების პაკეტი“, ხოლო SIM TV-ს პაკეტში აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შეტყობინოს აბონენტს „რეგლამენტის“ შესაბამისად;

15.2.2. შეცვალოს „ხელშეკრულებით“ ასევე მათი „დანართებით“ (დანართების არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ნებისმიერი პირობა;

15.2.3. „კომპანიის“ მიერ „ხელშეკრულების“ 15.2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში:

15.3. თუ „აბონენტი“ „კომპანიის“ მიერ შეტყობინებული ცვლილების/ების და ამ ცვლილების/ების ძალაში შესვლის ვადადამდე არ მოახდენს წერილობით უარის განცხადებას, აღნიშნული ჩაითვლება, რომ „აბონენტი“ თანახმაა „კომპანიის“ მიერ შეთავაზებულ ცვლილებებზე. 15.4.

„ხელშეკრულებაში“ შეტანილი ცვლილებები და დამატებები (მათ შორის „ხელშეკრულების“ 15 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები და დამატებები) წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

16. სხვა პირობები

16.1. „კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი

ა) აბონენტის“ მიერ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე, ბ) „მომსახურების“ ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია „აბონენტის“ ლოკალური ქსელის გაუმართაობით, რაც გულისხმობს „სადემარკაციო წერტილიდან“ მომხმარებლის მხარეზე არსებულ დაზიანებას;

გ) ვირუსული პრობლემებით

16.2. „აბონენტი“ აცხადებს თანხმობას, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერი ტექნიკური სამუშაოების მიზნად ინფორმაცია ახალი მომსახურებების, სერვისების, პროდუქტების და სხვადასხვა სახის აპტიკონების მათ შორის, როგორც „კომპანიის“ ასევე შესაძლო პირის „რეგლამენტის“.

16.3. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „ხელშეკრულებით“ (მისი დანართებით) შესაბამისი „მომსახურების“ პირობები ვრცელდება მხოლოდ იმ „მომსახურებაზე“ რომლის დებულებებშიც არის მოცემული ამგვარი პირობები და არ ატარებს ზოგად ხასიათს.

16.4. „აბონენტი“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

16.5. „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანია“-ს დაუყოვნებლივ აცნობოს რეკვიზიტების ცვლილების შესახებ 2 100 100 ზარის განხორციელებით („კომპანიის“ მიერ „აბონენტის“ იდენტიფიცირებით: წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული აბონენტის „საკონტაქტო ინფორმაციის“ მეშვეობით) ან სერვის ცენტრში წერილობით განაცხადის დაფიქსირებით);

16.6. „აბონენტი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ გაფრთხილია და თანხმდება „კომპანიის“ „მომსახურების“ გაწევის წესსა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს „კომპანიის“ იმ დროისათვის მოქმედ რეგულაციებს „მომსახურების“ გაწევისთან დაკავშირებით) და ტარიფებს.



„აბონენტ“ ასევე აცხადებს თანხმობას, რომ ხელს მოაწერს და შესრულდეს ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ დოკუმენტებს (მათ შორის „ტექნიკური საშუალებების“ მიღების მიღება-ჩაბარების აქტს).

16.7. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული შესაბამისი „მომსახურების“ პირობებით, ამ ხელშეკრულებით აბონენტი ყიდულობს „მომსახურებას“ და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე „ტექნიკური მოწყობილობა“ ან/და ნივთი, მათ შორის, შემტრადიის რესურსი (ტელეფონის ნომერი), რომლის სარგებლობის უფლების მინიჭებაც ხდება აბონენტისთვის (ამგვარის არსებობის შემთხვევაში).

16.8. „შარეები“ ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების“ შინაარსი ზუსტად გამოხატავს „შარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „ხელშეკრულების“ შინაარსის გარეგანი განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

16.9. ერთ-ერთი „შარის“ მხრიდან „ხელშეკრულების“ ან/და „კანონმდებლობის“ სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე „შარის“ მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენებლობა არ გაგრძელდება „ხელშეკრულების“ ან/და „კანონმდებლობის“ ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

16.10. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, „შარეები“ აცხადებენ და ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის მეორე (დამრღვევი) „შარისათვის“ დაკისრება წარმოადგენს შესაბამისი (არადამრღვევი) „შარის“ უფლებას და არა ვალდებულებას.

16.11. „ხელშეკრულების“ (მათ შორის, მისი „დანართების“) რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის მათილომა არ გამოიწვევს მილიანად „ხელშეკრულების“ ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მათილომას მათილი დებულების ნაცვლად, გამოყოფნა იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის მათილი დებულებით) გათვალისწინებული მოზანი.

16.12. „ხელშეკრულებაში“ მხოლოდ რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობის და პირიკით.

16.13. „ხელშეკრულების“ მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანობრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

16.14. „ხელშეკრულება“ მისი ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა „შარეთა“ უფლებამონაცვლეების, თუ შემკვიდრებისათვის/სამართალშემკვიდრებისათვის.

16.15. „აბონენტს“ უფლება არა აქვს „კომპანიის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „ქესამე პირს“ გადასცეს ან გადააბაროს მასზე „ხელშეკრულებით“ (მათ შორის, მათი „დანართ(ებ)ით“) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. „კომპანიის“ უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების გამხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით გამხორციელებული ქმედება ან/და გარიგება მათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა „კანონმდებლობით“ ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ „აბონენტმა“ პირადად უნდა შესრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს „კომპანიის“ უფლებას მიიღოს შესამე პიროსგან შემოთადგნებული შესრულება, მოუხერხავედ იძის თანახმა თუ არა „აბონენტი“. ამასთანავე „კომპანია“ უფლებამოსილია „აბონენტისათვის“ მიწოდებულ შეტყობინების საფუძველზე „ქესამე პირს“ გადასცეს მისი

„ხელშეკრულებით“ ნაკისრი უფლებები ან/და მოვალეობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „აბონენტი“ წინასწარ წერილობით უარს იტყვის ასეთ გადაცემაზე. ამასთან, უკანასკნელ შემთხვევაში, ასეთი გადაცემა უნდა მოხდეს „რეგლამენტით“ მომსახურების შეწყვეტისთვის დადგენილი ვადის დაცვით.

16.16. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე „ხელშეკრულების“ თანახარი იურიდიული ძალის მქონე თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ „შარეებს“.

17. „შარეთა“ ხელმოწერები, საკონტაქტო ინფორმაცია და სახანკო რეკვიზიტები:

„კომპანია“: სს „სილენტი“
მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N: 95
საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
საანგარიშსწორებო ანგარიშის N:
GE41BG000000878415000

ალექსანდრე ჩიქვა
აბონენტთა მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი



„აბონენტი“: გლდანი-ნამალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის 52
საიდენტიფიკაციო კოდი: 202347013
ბანკი: სახელმწიფო ბანკი
ბანკის კოდი: 220101222
საანგარიშსწორებო ანგარიშის N:
200122900
საკონტაქტო ტელეფონი: 577525211
E-mail: gaiozomidze@gmail.com

რუსუდან ჩხეტია
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი



დანართი №1

„მომსახურების ღირებულება“ მოიცავს საქართველოს კაბონმდებლობით განსაზღვრულ დამატებითი ღირებულების გადასახადს (დედ-ს); „მხარეთა“ შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში, შესასამისო საანგარიშსწორებო თვის ზოლო დღისათვის თვითაღურად დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

No	მომსახურება	მისამართი
322950718	ფიქსირებული ტელეფონი	თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა (ყოფ. კაპოს ქ. 1990, ძველი თბილისი), 68

DSL ინტერნეტით მომსახურების ყოველთვიური საბონეტო გადასახადი სატელეფონო ნომერზე (32) 2950718–50.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში- პაკეტი (Silver).

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება:
 ყოველთვიური საბონეტო ერთ ფიქსირებულ სატელეფონო ნომერზე - 10.00 ლარი, რაც მოიცავს ულიმიტო ადგილობრივ და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირს სს „სილქნეტის“ ქსელში.
 სხვა სატელეფონო კომანიის ადგილობრივი ფიქსირებული ქსელის ოპერატორებთან კავშირის ღირებულება 1 წუთი - 0.04 ლარი
 საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ღირებულება სხვა სატელეფონო კომანიის ფიქსირებული ქსელის ოპერატორებთან 1 წუთი - 0.06 ლარი
 საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ღირებულება ავსტრალიასა და ცხინვალის რეგიონში 1 წუთი - 0.12 ლარი.
 მობილურ ოპერატორებთან კავშირის ღირებულება 1 წუთი - 0.32 ლარი.
 მობილურ ოპერატორებთან კავშირის ღირებულება 10-16-0 საშუალებით 1 წუთი - 0.25 ლარი.

შენიშვნა: დავალიანების დროულად არ გადახდის შემთხვევაში „აბონენტი“ გაითიშება ცალმხრივად და დაკრედიტება ჯარიმა 1 (ერთი) ლარი, თუ დავალიანების დაფარვა არ მოხდა თვის ბოლომდე, მომდევნო თვის პირველ რიცხვში „აბონენტს“ კვლავ დაერიცხება ჯარიმა 1(ერთი) ლარის ოდენობით. თუ დავალიანების დაფარვა არ მოხდა მეორე თვის ბოლომდე, შესაძლოა თვის პირველ რიცხვში „აბონენტს“ კვლავ დაერიცხება ჯარიმა 1 (ერთი) ლარი და გაითიშება ორმხრივად.

კომპანია: სს „სილქნეტი“
 აბონენტთა მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი
 ალექსანდრა ჩიქვაძე




აბონენტი: გლდან-ნაბლაღდვის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
 უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
 რუსუდანი ჩხეიძე




კომპანიის ხელმოწერა



აბონენტის ხელმოწერა

